მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,
საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №2

ქ. მარტვილი 10 მარტი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 13[00] სთ-ზე, დამთავრდა 15[00] სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: კახაბერ ჯგერენაია, მინდია გაბისონია, ირაკლი დიხამინჯია, ჯამბულ ხუროძე, აკაკი ხუნწელია, გოჩა ჯიქია, ნათია ქაჯაია, გიორგი ჯიჯელავა.
სხდომას თავმჯდომარეობდა, მარტვილის მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ჯგერენაია.
მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ ჯგერენაიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.
/მომხსენებელი-კახაბერ ჯგერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის 2022 წლის შესრულებული სამუშაოების ანგარიშის შესახებ.
/მომხსენებელი-კახაბერ ჯგერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წლის ანგარიშის შესახებ.
/მომხსენებელი-კახაბერ ჯგერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.
/მომხსენებელი-კახაბერ ჯგერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./
კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
1–ლი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა.
მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება, .მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის თაობაზე.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული სამსახური შედგება ხუთი განყოფილებისაგან და კომისიის წევრებს გააცნო მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიში
 და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი დიხამინჯიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული სამსახური კარგად ასრულებს მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, რასაც დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები;

მომხრე 8. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში და საკითხი მომზადებულად ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მე–2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა.

მოისმინეს2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის 2022 წლის შესრულებული სამუშაოების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიში სადაც აღწერილია აღნიშნული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საწინააღმდეგო მოსაზრება კომისიის წევრებს არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის 2022 წლის შესრულებული სამუშაოების ანგარიშის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები;

მომხრე 8. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის 2022 წლის შესრულებული სამუშაოები და საკითხი მომზადებულად ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მე–3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა.

მოისმინეს 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წლის ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ნაწილია შიდა აუდიტი და კომისიის წევრებს გააცნო წარმოდგენილი 2022 წელს ჩატარებული აუდიტორული შემოწმებები, საიდანაც ირკვევა რომ აღნიშნულ სამსახურს გაუცია 10 რეკომენდაცია, ასევე მათ მიერ მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ააიპ–

ებში გამოვლენილ იქნა 19 გადაცდომა რასთან დაკავშირებითაც გატარებულ იქნა შესაბამისი ღონისძიებები და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წლის ანგარიშის შესახებ.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 8. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: . მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წლს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში და საკითხი მომზადებულად ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.
მე–4 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა.
მოისმინეს 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშთან დაკავშირებით, კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოწონების თაობაზე.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 8. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში და საკითხი მომზადებულად ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: კახაბერ ჯგერენაია